



პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „ოპიზარი“ დირექტორის

# 41.31.05.2019 წ. ბრძანებით

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი "ოპიზარი"

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

აგრომექანიზაცია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. 111

ტელეფონი: T- 365 2 2 11 03 ; T-599172005 ; 365 2 2 17 41;

ელ-ფოსტა: Belaavalishvili@gmail.com

ვებგვერდი: <http://opizarivet.ge/>

პროგრამის ხელმძღვანელი: კარლო ზედგინიძე, გელა ზაზაძე

2019 წ.

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, ქართულ და ინგლისურ ენაზე , რომლის საფუძველზეც შემუშავებულია პროგრამა: - აგრომექანიზაცია/ Agromechanization
2. ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შექმნილია პროგრამა 07121-პ
3. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აგრომექანიზაციაში / Secondary Vocational Qualification in Agromechanization

აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - „ძრავიანი ტრანსპორტი, გემები და საფრენი აპარატები“, კოდი: - 0716, აღმწერი - *შეისწავლის ძრავიანი ტრანსპორტის (მ.შ. დედამიწაზე მოძრავი მანქანები და სასოფლო - სამეურნეო მანქანები, გემები, მატარებლები, საჰაერო ხომალდები) დაპროექტებას, განვითარებას, წარმოებას, ექსპლუატაციას, ხარვეზების დიაგნოსტიკას, რემონტსა და მომსახურებას. ამ სფეროსთვის ჩვეულებრივია ლითონის სტრუქტურისა და ძრავების შესწავლის კომბინირება“.*

#### 4. მიზანი

პროგრამის მიზანია უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის, დიაგნოსტიკისა და მომსახურების კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა.

#### 5. დაშვების წინაპირობა - სრული ზოგადი განათლება

#### 6. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს კერძო ორგანიზაციებსა და სახელმწიფოს მიერ შექმნილ მექანიზაციის ცენტრებში, მსხვილი ფერმერების მფლობელობაში არსებული ტექნიკური სერვისის საწარმოებში, სოფლის მეურნეობის რეგიონულ და რაიონულ საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურებში, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რეგიონებში განლაგებულ საცდელ ბაზებზე, რაიონებში კერძო პირების მიერ შექმნილ ფერმერთა მომსახურების ცენტრებში. აგრეთვე შესაძლებელია იყოს თვითდასაქმებული.

- ეროვნული კლასიფიკატორი - ეკონომიკური საქმიანობის სახეები - განყოფილება 33, მანქანების და მოწყობილობების რემონტი - 33. 12
- დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) - კოდი 7233

## 7. სტრუქტურა და მოდულები

საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აგრომექანიზაციაში მოიცავს საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის შესაბამისი პროგრამის შემუშავების შესაძლებლობას. კვალიფიკაციის მისანიჭებლად კრედიტების ჯამური რაოდენობაა - **92**, ხოლო არაქართულენოვანი პროფესიული ტესტირების გზით ჩარიცხულმა პირმა - **122**, ამათგან ზოგადი მოდულების მოცულობა შეადგენს 13 კრედიტს, პროფესიული მოდულების მოცულობა 70კრედიტს, ხოლო სავალდებულო არჩევითი მოდულების 28 კრედიტიდან შეირჩეულია 9 კრედიტის მოცულობის მოდულები.

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება№152/ნბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით.“

**პროგრამის მოცულობა და სავარაუდო ხანგრძლივობა:**

- მოცულობა : ქართულენოვანი სტუდენტებისთვის 92 კრედიტი
- სავარაუდო ხანგრძლივობა, 17 თვე
- მოცულობა არაქართულენოვან სტუდენტებისათვის 122 კრედიტი,
- სავარაუდო ხანგრძლივობა 22 თვე

| ზოგადი მოდულები |                    |         |
|-----------------|--------------------|---------|
| №               | მოდულის დასახელება | კრედიტი |
|                 |                    |         |

|            |  |                |
|------------|--|----------------|
| 1          | უცხოური ენა (ინგლისური ენა)  | 4              |
| 2          | ინფორმაციული წიგნიერება 1  | 3              |
| 3          | გარემოსდაცვითისაფუძვლები   | 2              |
| 4          | რაოდენობრივი წიგნიერება  | 2              |
| 5          | ხაზვა  | 2              |
| <b>სულ</b> |  | <b>13</b>      |
| <b>№</b>   | <b>პროფესიულიმოდულები</b>  | <b>კრედიტი</b> |
| 1.         | გაცნობითი პრაქტიკა სოფლის მეურნეობა  | 2              |
| 2.         | ნიადაგის დამუშავების საფუძვლები  | 2              |
| 3.         | ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-დაცვა  | 2              |
| 4.         | სურსათის უვნებლობა   | 2              |
| 5.         | თესლბრუნვა   | 2              |
| 6.         | საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გამოყენება  | 2              |
| 7.         | სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვა-მომსახურება  | 4              |
| 8.         | აგრარული ტექნიკის საფუძვლები   | 4              |
| 9.         | ტრაქტორის და კომბაინის ძრავის ტექნიკური სერვისი  | 6              |
| 10.        | ტრაქტორისა და კომბაინის ტრანსმისიისა და სამუხრუჭე სისტემის ტექნიკური სერვისი                     | 4              |
| 11.        | ტრაქტორისა და კომბაინის ჰიდრავლიკური სისტემებისა და ელექტრონული მოწყობილობების ტექნიკური სერვისი | 4              |
| 12.        | კომბაინის სამკალი, სალეწი, საბერტყი და დამაქუცმაცებელი მექანიზმების ტექნიკური სერვისი            | 4              |
| 13.        | კულტტექნიკური სამუშაოების ჩასატარებელი მანქანების ტექნიკური სერვისი                              | 4              |
| 14.        | ნიადაგდამამუშავებელი მანქანების ტექნიკური სერვისი  | 4              |
| 15.        | მცენარეთა ქიმიური დაცვისა და სასუქის შემტანი მანქანების ტექნიკური სერვისი                        | 2              |
| 16.        | საკვებწარმოების მანქანების ტექნიკური სერვისი   | 2              |
| 17.        | მოტობლოკური აგრეგატების ტექნიკური სერვისი  | 2              |
| 18.        | მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების სათეს-სარგავი მანქანების ტექნიკური სერვისი                    | 2              |
| 19.        | შრომის დაცვა აგრარულ საწარმოებში   | 2              |
| 20.        | პრაქტიკული პროექტი - აგრარულ მანქანათა ტექნიკური სერვისი   | 3              |

|            |  |           |
|------------|--|-----------|
| 21.        | პრაქტიკული პროექტი - აგრარული ტექნიკის რემონტი   | 3         |
| 22.        | აგრარული დანიშნულების შენობა-ნაგებობების სერვისი | 4         |
| 23.        | აგრარული ტექნიკის ექსპლუატაცია                   | 2         |
| 24.        | სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია                     | 2         |
| <b>სულ</b> |  | <b>70</b> |

| №          | სავალდებულო არჩევითი მოდულები          | კრედიტი  |
|------------|--|----------|
| 1          | მარცვლეული კულტურების თესვა            | 3        |
| 2          | ნიადაგის დამუშავება                    | 3        |
| 3          | თავთავიანი და სათოხნი კულტურების აღება | 3        |
| <b>სულ</b> |  | <b>9</b> |

**8. მისანიჭებელი კვალიფიკაციების შესაბამის სწავლის შედეგები  
კურსდამთავრებულს შეუძლია:**

1. აგრარული ტექნიკა უზრუნველყოს საწვავ-საცხები მასალებით
2. მოახდინოს აგრარული ტექნიკის დიაგნოსტიკა
3. განახორციელოს აგრარული ტექნიკის რემონტი
4. აგრარული ტექნიკის სერვისისთვის გაიანგარიშოს სამუშაო ძალისა და სხვა ფულადი დანახარჯები
5. განახორციელოს აგრარული ტექნიკის ექსპლუატაცია და გაიანგარიშოს აგრარული ტექნიკის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები
6. უზრუნველყოს სამელიორაციო ტექნიკის და სისტემების ტექნიკური სერვისი
7. განახორციელოს აგრარული დანიშნულების შენობა-ნაგებობების მოვლითი ღონისძიებები.

**9. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება**

10. სსიპ საზოგადოებრივმა კოლეჯმა „ოპიზარი“ ჩარჩო დოკუმენტის „აგრომექანიზაცია“ საფუძველზე, შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აგრომექანიზაცია“ ; შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო

პროგრამა ითვალისწინებს არჩევითი სტატუსის მოდულებს ამავე ჩარჩო დოკუმენტის მოდულების კრედიტთა მოცულობის არა უმეტეს 20 %-ისა. (9 კრედიტი).

## 11. სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება

პირს კრედიტი მიენიჭება სწავლის შედეგის მიღწევის დადასტურების საფუძველზე, რომელიც შესაძლებელია:

- ა) წინმსწრები ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარებით;
- ბ) არაფორმალური განათლების გზით მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- გ) სწავლის შედეგების დადასტურება შეფასების გზით.

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

- ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
- ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება. შეფასების მეთოდი/მეთოდები რეკომენდაციის სახით მოცემულია მოდულებში.

ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის განვითარებას (*მშობლიურ ენაზე კომუნიკაცია; უცხო ენაზე კომუნიკაცია; მათემატიკური კომპეტენცია; ციფრული კომპეტენცია; დამოუკიდებლად სწავლის უნარი; პიროვნებათშორისი, კულტურათაშორისი, სოციალური და მოქალაქეობრივი კომპეტენციები; მეწარმეობა და კულტურული გამომხატველობა*), რომლებიც მნიშვნელოვანია პროფესიონალი და კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდისთვის. რვა საკვანძო კომპეტენციიდან ერთ-ერთი - მშობლიური/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ძირითადი ენის განვითარების მიზნით, თითოეული პროფესიული განათლების მასწავლებლის მიერ სწავლება-სწავლის პროცესში უნდა შეფასდეს ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის უნარი, კერძოდ, მართლწერისა და მართლმეტყველების წესების დაცვა შემდეგი კომპეტენციების ფარგლების გათვალისწინებით:

### მართლმეტყველება

- საუბრის/პრეზენტაციის დროის ლიმიტის დაცვა;
- სათანადო პროფესიული ლექსიკის გამოყენება;
- მოსაზრების ჩამოყალიბება გასაგებად, ნათლად და თანამიმდევრულად;
- ადეკვატური მაგალითებისა და არგუმენტების მოყვანა;

- ზეპირი მსჯელობისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების ადეკვატურად გამოყენება (მაგ., ქესტიკულაცია, ინტერვალი საუბარში, ხმის ტემბრის ცვალებადობა).

#### **მართლწერა**

- საკავშირებელი სიტყვების სწორად გამოყენება;
- ძირითადი სასვენი ნიშნების (წერტილი, კითხვისა და ძახილის ნიშნები) სწორად გამოყენება;
- პროფესიული ლექსიკის სათანადოდ გამოყენება;
- წერისას ტიპობრივი სტილისტური ხარვეზების აღმოფხვრა;
- არ უნდა იქნეს გამოყენებული ენისთვის არაბუნებრივი შესიტყვებები და ლექსიკა - ბარბარიზმები, ჟარგონები;
- ინფორმაციის გადმოცემა თანამიმდევრულად, გასაგებად, შესასრულებელი აქტივობის შესაბამისად.

### **11. კვალიფიკაციის მინიჭება**

კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „აგრომექანიზაცია“ განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

### **12. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის**

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - მე-11 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

**დანართი № 1 - სასწავლო გარემო და მატერიალური რესურსი**

**დანართი №2 -სასწავლო გეგმა**

**დანართი №3 – მოდულები:**

დანართი 3.1 უცხოური ენა

დანართი 3.2 ინფორმაციული წიგნიერება 1

დანართი 3.3 გარემოსდაცვითი საფუძვლები

დანართი 3.4რაოდენობრივი წიგნიერება  
დანართი 3.5ხაზვა  
დანართი 3.6გაცნობითი პრაქტიკა სოფლის მეურნეობა  
დანართი 3.7ნიადაგის დამუშავების საფუძვლები  
დანართი 3.8ნიადაგის ნაყოფიერების შენარჩუნება-დაცვა  
დანართი 3.9სურსათის უვნებლობა  
დანართი 3.10თესლბრუნვა  
დანართი 3.11საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გამოყენება  
დანართი 3.12სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მართვა-მომსახურება  
დანართი 3.13აგრარული ტექნიკის საფუძვლები  
დანართი 3.14ტრაქტორის და კომბაინის ძრავის ტექნიკური სერვისი  
დანართი 3.15ტრაქტორისა და კომბაინის ტრანსმისიისა და სამუხრუჭე სისტემის ტექნიკური სერვისი  
დანართი 3.16ტრაქტორისა და კომბაინის ჰიდრავლიკური სისტემებისა და ელექტრონული მოწყობილობების ტექნიკური სერვისი  
დანართი 3.17კომბაინის სამკალი, სალეწი, საბერტყი და დამაქუცმაცებელი მექანიზმების ტექნიკური სერვისი  
დანართი 3.18კულტტექნიკური სამუშაოების ჩასატარებელი მანქანების ტექნიკური სერვისი  
დანართი 3.19ნიადაგდამამუშავებელი მანქანების ტექნიკური სერვისი  
დანართი 3.20მცენარეთა ქიმიური დაცვისა და სასუქის შემტანი მანქანების ტექნიკური სერვისი  
დანართი 3.21საკვებწარმოების მანქანების ტექნიკური სერვისი  
დანართი 3.22მოტობლოკური აგრეგატების ტექნიკური სერვისი  
დანართი 3.23მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების სათეს-სარგავი მანქანების ტექნიკური სერვისი  
დანართი 3.24შრომის დაცვა აგრარულ საწარმოებში  
დანართი 3.25პრაქტიკული პროექტი - აგრარულ მანქანათა ტექნიკური სერვისი  
დანართი 3.26პრაქტიკული პროექტი - აგრარული ტექნიკის რემონტი  
დანართი 3.27აგრარული დანიშნულების შენობა-ნაგებობების სერვისი  
დანართი 3.28აგრარული ტექნიკის ექსპლუატაცია  
დანართი 3.29სასოფლო-სამეურნეო მელიორაცია  
დანართი 3.30თავთავიანი და სათოხნი კულტურების აღება  
დანართი 3.31მარცვლეული კულტურების თესვა  
დანართი 3.32ნიადაგის დამუშავება  
დანართი 3.33 ქართული ენა A2  
დანართი 3.34 ქართული ენა B1

**პროგრამის განხორციელებისათვის დადებულია ხელშეკრულება:**



შპს „მექანიზატორი“ - ხელშეკრულება N29 20.03.2019